ხელშეკრულება # 02/50/38
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **27.05.2014 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ა(ა)იპ "ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო" (შემდგომში _ "შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირქტორის რამაზ სულამანიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ეს ჯი არქიტექტურა" წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ გიორგაძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი (საკონკურსო განცხადების №1133)

ქ. თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლება, ზონა 2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.10.18.006.068) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შედგენის მომსახურების შესყიდვაზე, რომლის საკონკურსო პირობების შესაბამისად კონკურსანტმა წარმოადგინა ვაშლიჯვარის დასახლება, ზონა 2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.10.18.006.068) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) დიზაინი და საკონკურსო კომისიის შეფასებით გამოვლინდა გამარჯვებულად, ამავე საკონკურსო პირობების შესაბამისად შეფასების შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კონკურსანტი კი ვალდებულია 30 სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს სრულყოფილი პროექტების წარმოდგენა. პროექტები კი წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის შესაბამისად რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.ხელშეკრულების საგანი (ობიექტი)

ქ. თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლება, ზონა 2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.10.18.006.068) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (შედგენილი დანართის შესაბამისად) და ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების ა(ა) იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-სათვის გადმოცემა

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარში.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **38000,00 (ოცდათვრამეტიათასი)** ლარს.

3.მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 მიწოდების ვადა – მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა (შედგენილი დანართის შესაბამისად) ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.2 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი #30

4.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის (წინამდებარე ხელშეკრულების პირველ პუნქტში მითითებული საგანი) მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზის გავლის (შენიშვნების შემთხვევაში მათი გამოსწორებით) და დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

(შემსყიდვლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ა(ა)იპ "ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს შესყიდვების სპეციალისტი ლევან ბაქრაძე.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში.

5.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნულ შესყიდვის ობიექტზე ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების გადაცემისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

5.4 შემსრულებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია ავანსის გადახდა არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 25 %-სა, საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, რომლის მოქმედების ვადაც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის საბოლოო ვადას.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.2.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

6.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

6.4.მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. ქ. თბილისის მერიას საკუთრებაში გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების პირველ პუნქტში მითითებული საგანი.

6.4.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება.

7. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი")

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.

7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

8.3 მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესრულების ვადის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.
8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.
8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.7 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.8ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
8.9ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
8.10 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.11ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.12 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:
ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. გამოყენებული სამართალი

10.1ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

11.1ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
11.2შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და მეორე პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“	შპს „ეს ჯი არქიტექტურა“
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ #30	მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ #39
ს/კ: 404905475	ს/კ: 404876336
სს „ლიბერთი ბანკი“	სს „ პრივატ ბანკი“
კოდი: LBRTGE22	კოდი: CAVOGE22
ა/ა: GE48LB0115140326331000	ა/ა GE55TP0036050020000604
_____	_____
რამაზ სულამანიძე	თამაზ გიორგაძე
სააგენტოს დირექტორი	დირექტორი

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარება, საინჟინრო ქსელების არსებული მდგომარეობის დაფიქსირებით.
2. საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.
3. ვერტიკალური დაგეგმარება და გარე პერიმეტრის კეთილმოწყობის პროექტი.
4. არქიტექტურული პროექტი.
5. კონსტრუქციული პროექტი.
6. სპეციალური სამუშაოების პროექტი.
    1. გათბობა, ცხელი და ცივი წყალი, კანალიზაცია, სანიაღვრე სისტემა ვენტილაცია-კონდიცირება.
    2. სანტექნიკა, ელექტრობა (მათ შორის გარე განათება)
7. სუსტი დენების პროექტი
8. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.
9. მშენებლობის კალენდარული გრაფიკი.
10. ხარჯთაღიცხვა.
11. სივრცითი დაგეგმარება.
12. კონკურსანტებმა სრული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონული ვერსიისა (DWG da PDF) ხარჯთაღრიცხვა (EXCEL) და ნაბეჭდი სახით (3 ეგზემპლარი) ერთი ელექტრონული ვერსიის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8 მბ.)